ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/19-162

ქ. ბათუმი 2019 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით დუმბაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მინდობილი (N016 გაცემული 03.01.2019 წ) პირის ბათუმის ფილიალის დირექტორის **პაატა დუმბაძის** სახით, საქართველოს მთავრობის, 2011 წლის 21 იანვრის #26 დადგენილებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **შემსყიდველის კუთვნილი** ფორდ ტრანზიტი-ს (ვინ–კოდი WF0EXXTTGEGR12393 სახელმწიფო ნომერი ND-058-ND) შეკეთების

CPV50100000

CPV34300000

(შემდგომში–საქონელი) მომსახურება, კერძოდ:

დასახელება	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**მთლიანი ღირებულება**
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები			
სადები საბარბაცე TRANSIT 2006	8 ც	8	64
სადები ძირითადი CUSTOM	1ც	110	110
ზეთის რადიატორის შემამჭ. TRANSIT	1ც	28	28
კარტერის საფენი FORD TRANSIT 027.37	1ც	83	83
სარქველის სახურავის საფენი CUSTOM	1ც	83	83
გამშვები კოლექტ. საფენი 392,440; TR	1ც	14	14
ძრავის ხუფი წინა TRSNSIT 06 2.2	1ც	75	75
ძრავის ჩობალი წინა 50X90X14; TRANS	1ც	44	44
ძრავის ჩობალი უკანა 106X196/2015X15	1ც	116	116
მასრის სახ. საფენი 1776498; TRANSIT	1ც	140	140
სარქველის ჩობალი TRANSIT 2006	8ც	4	32
ტურბოკომპრესორი FORD	1ც	2750	2750
დგუშის რგოლი CUSTOM	1ც	340	340
გერმეტიკი DIRKO PROFIPRESS შავი	1ც	55	55
ფრქვევანას სპილ. რგოლი 293.140	4ც	5,5	22
ზეთის გაგრილების რადიატორი FORD	1ც	350	350
ზეთი CHAMPION OEM SO 5W30 MS-F 205	9ც	18	162
ზეთი ტრანს. NSL ATF POWER DXII	2ც	17	34
ელ. მცველი 30A (MINI)	2ც	1	2
სამუშაოს ჩამონათვალი			
ძრავის მ/დ (კომპლექტი)			600
ძრავის დ/ა			1200
ცენტრ. ელ. სისტემის დიაგნისტიკა FORD			30
ძრავის (კომპლექტი) გადაწყობით ადაფტაცია			50
SIEMENS მფრქვევანას შემოწმება			132
ძრავის თავაკის მოხეხვა			115
სულ			6631

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **6 631** (ექვსი ათას ექვსას ოცდათერთმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება–ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალურ ფასეულობათა მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მომსახურების ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02 % ოდენობით.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 10 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მეორე მხარეს ერთჯერადი ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
შპს „სანდასუფთავება“
მის: ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55
ს/კოდი 245548153
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE57BG0000000524452400
შპს „სანდასუფთავება“
დირექტორი
დავით დუმბაძე

_____

მიმწოდებელი:
შპს „თეგეტა მოტორსი“
მის: ქ. თბილისი,
დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ #5
ს/კოდი: 202177205
სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853
შპს „თეგეტა მოტორსი“
ბათუმის ფილიალის დირექტორი
პაატა დუმბაძე

Tegeta Motors LLC
2019.09.30 17:55:49
+04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი დავით დუმბაძე და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე, ვადასტურებთ, რომ შპს ,,თეგეტა მოტორსი“–სთან, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №ს/შ19- 162, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი

დავით დუმბაძე

შპს „სანდასუფთავება“-ს მატერიალური

რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

დავით დევაძე Davit Devadze Подписано цифровой подписью: Davit Devadze Дата: 2019.10.01 11:57:34 +04'00'